საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თეიმურაზ თოდრია – კოლეგიის თავმჯდომარე

ხათუნა ჩხაიძე – კოლეგიის წევრი

ია გაბედავა- კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ე. ნ.

წარმომადგენელი: მ. ტ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 02.04.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 043/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ გ. ტ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გ. ტ.-ისთვის ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 2 აპრილს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ე. ნ.-მ და მოითხოვა ადვოკატ გ. ტ.-ისთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით 2011 წლის 14 აპრილს მოსამართლე ე. ც.-მ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით ა. ს. ცნობილი იქნა თბილისში, ც.-ის ქუჩა NXX-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ე. ნ.-ის კუთვნილი ¼ ნაწილის ფართის მესაკუთრედ.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან არ იცოდა რა ფართს იკავებდა ა. ს., რადგან სეროპიანს არ წარმოუდგენია არანაირი დოკუმენტი სასამართლოში, ხოლო ადვოკატმა გ. ტ.-მ დაარწმუნა ის, რომ ა. ს. ნამდვილად იყო მოსარგებლე და დაუმალა, რომ ა. ს.-ს არ გააჩნდა არანაირი დამადასტურებელი საბუთი, რომელიც დაადასტურებდა სადავო ფართზე სარგებლობის უფლებას.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა გ. ტ.-მ დაარწმუნა ის, რომ ეცნო ა. ს. სადაო ფართის მოსარგებლედ, რაც მას დაეხმარებოდა პროცესის მოგებაში. საჩივრის ავტორმა ცნო ა. ს. მოსარგებლედ, რამაც გამოიწვია მისი საცხოვრებელი ფართის დაკარგვა.

1.5 საჩივრის ავტორის წარმომადგენელი, მ. ტ. განმარტავს, რომ მისი მარწმუნებლის ადვოკატს, გ. ტ.-ს რომ არ ეცნო სარჩელი, ა. ს. ვერ გახდებოდა ე. ნ.-ის კუთვნილი წილის მესაკუთრე, ვინაიდან საქმეში არ არსებობდა სათანადო მტკიცებულება.

1.6 მ. ტ.-ის განმარტებით, ადვოკატმა გ. ტ.-მ შეგნებულად დააზარალა მისი მარწმუნებელი, ე. ნ. და ამით მან დაარღვია ადვოკატთა შესახებ კანონით გათვალისწინებული ადვოკატის საქმიანობის პრინციპები, კერძოდ ადვოკატთა შესახებ კანონის მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი, ადვოკატთა შესახებ კანონის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი და ასევე პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლით განსაზღვრული კლიენტის უპირატესობის პრინციპი.

2. ადვოკატის პოზიცია

2.1 2019 წლის 16 აპრილს, ადვოკატმა გ. ტ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება, სადაც მიუთა, რომ საჩივრის ავტორის - ე. ნ.-ის ინტერესების დაცვას ახორციელებდა 2007 წლიდან 2011 წლამდე პერიოდის განმავლობაში, ერთმანეთთან დაკავშირებულ სხვადასხვა საქმეზე. ადვოკატის განმარტებით, ე. ნ. პირადად ესწრებოდა სასამართლო სხდომებს და გადაწყვეტილებებსაც უშუალოდ თვითონ იღებდა.

2.2 ადვოკატი აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორს, პრეტენზია ან რაიმე სახის უკმაყოფილება არც საქმეების წარმოების დროს და არც შემდგომი 8 წლის განმავლობაში არ გამოუთქვამს. მან მოპასუხეს გაუწია კვალიფიციური მომსახურება, რისი დადასტურებაც შეუძლიათ იმ პერიოდში მასთან მომუშავე თანამშრომლებს.

2.3 ადვოკატის განხადებით, საჩივრის ავტორი დავობს 2011 წლის 14 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიიის N2/80-10 გადაწყვეტილებასთან მიმართებაში, ადვოკატის მიერ სადავო ქმედების ჩადენასთან დაკავშირებით, თუმცა სსიპ საქართველო ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრის ავტორმა განცხადებით მიმართა 02.04.2019 წელს. ადვოკატი მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში გასულია „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით დაგდენილი ხანდაზმულობის ვადა, ვინაიდან ადვოკატის მიერ სადავო ქმედების ჩადენიდან ეთიკის კომისიაში საჩივრის შეტანის თარიღამდე გასულია კანონით დადგენილი 5 წლიანი ვადა, რაც დისციპლინური წარმოების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი გ. ტ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი.

3.2 ე. ნ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 2 აპრილს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2011 წლის 14 აპრილს.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ გ. ტ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებით.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა გ. ტ.-მ, რომელიც წარმოადგენდა საჩივრის ავტორის, როგორც მოპასუხე მხარის ინტერესებს თბილისის საქალაქო სასამართლოში, გაუწია არაკვალიფიციური მომსახურება - ადვოკატმა ცნო სარჩელი მოსარჩელე ა. ს.-ს მოსარგებლედ ცნობის თაობაზე, რის გამოც საჩივრის ავტორმა დაკარგა საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე.

5.2 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ყოველი კონკრეტული სადაო მოქმედების შეფასებისას მოწმდება საჩივრის შემოტანის ხანდაზმულობის ვადა. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: ,,ადვოკატს არ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი“. „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, „დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის შეტანის თარიღამდე გასულია კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა.“

5.3 ე. ნ.-მ ეთიკის კომისიას მომართა 2019 წლის 2 აპრილს. მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში წარმოდგნილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით დგინდება, რომ საჩივრის ავტორი, სადავოდ ხდის ადვოკატის მიერ 2011 წელს განხორციელებულ მოქმედებებს, მაშინ როდესაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოპასუხის, ე. ნ.-ის ინტერესებს წარმოადგენდა ადვოკატი გ. ტ..

5.4 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ 2019 წლის 02 აპრილს ეთიკის კომისიისადმი საჩივრით მომართვისას ე. ნ.-ის პრეტენზიები ადვოკატ გ. ტ.-ის მიმართ ხანდაზმულია, ვინაიდან სადაო

ქმედების ჩადენიდან ეთიკის კომისიისადმი მომართვისთვის დადგენილი ხანდაზმულობის 5 (ხუთ) წლიანი ვადა გასულია, რაც დისციპლინურ საქმეზე ხანდაზმულობის საფუძვლით წარმოების შეწყვეტის საფუძველია.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 33-ე მუხლით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის 5-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე 043/19 ადვოკატ გ. ტ.-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თეიმურაზ თოდრია/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ჩხაიძე/

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/